ემერიტუს პროფესორი ირინე გოშხეთელიანი წლების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა ახალგაზრდა თაობის აღზრდას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა უცხოური ენებისა და საზღვარგარეთული ლიტერატურის კათედრა. ის იყო ევროპეისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ანგლისტიკის პროგრამული მიმართულების და ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. ი. გოშხეთელიანი არის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადისერტაციო საბჭოს წევრი, 12 სადოქტორო ნაშრომის მეცნიერ-ხელმძღვანელი, ბიალისტოკის უნივერსიტეტის (პოლონეთი) ჟურნალის **„Białostockie Archiwum Językowe”** სამეცნიერო საბჭოს წევრი და ბიალისტოკის უნივერსიტეტის ფრაზეოლოგიისა და პარემიოლოგიის საერთაშორისო კვლევითი ცენტრის წევრი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული ოცდაათზე მეტ საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმში. გავლილი აქვს პროფესიული სტაჟირებები, მათ შორის პორტუგალიაში (ერაზმუს +).

ირინე გოშხეთელიანის სამეცნიერო ინტერესებია: ენა და კულტურა, ფრაზეოლოგია, პარემიოლოგია, ლექსიკოლოგია, დისკურსის ანალიზი, ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა. მას გამოქვეყნებული აქვს 70 -ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი რესპუბლიკურ და საერთაშორისო ჟურნალებში, მათ შორის სამი ინდექსირებულია Scopus-ში და ექვსი - ERIH+. მან გამოსცა მონოგრაფია „ენა კულტურის დისკურსში“(2025), ორი სახელმძღვანელო ინგლისური ენის ლექსიკოლოგიასა (2017) და თეორიულ გრამატიკაში(2017), ერთი სალექციო კურსი ინგლისური ენის ლექსიკოლოგიაში(2009). ის არის ბსუ-ს 2025-2026 წ.წ. მიზნობრივი საგრანტო პროექტის „შეპირისპირებითი

ლინგვისტური კულტუროლოგია (ქართული, ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენების ბაზაზე)“ მეცნიერ-ხელმძღვანელი.

ი. გოშხეთელიანი დაჯილდოებულია ღირსების მედლით.